

585
1985



პროლეტარებო
ყვითელი
ქვეყანა,
შეერთდით!

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

№ 11

1985

უმაღლესი საბჭოს
უფლებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამომცემი



საქართველოს საჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები



№ 11 (482)

ნოემბერი

1985 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

ბანუოფილება პირველი

371. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ.
372. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ს. ე. ხაბეიშვილის გაწვევის საკითხთან დაკავშირებით მასალების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის დასკვნისათვის გადაცემის თაობაზე.
373. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ახმეტის № 228 საარჩევნო ოლქისაგან ს. ე. ხაბეიშვილის გაწვევის თაობაზე კენჭისყრის ჩატარების შესახებ.
374. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ.
375. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში დამატებათა შეტანის შესახებ.
376. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ.
377. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. საბ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა



ბანაოფილიზმა მიმრმ

378. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
379. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. დ. ვ. ტყეშელაშვილის მედლით „წყალწადებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
380. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თბილისის ა. მ. რაზმაძის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომლებისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
381. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. ი. მარშანიასათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
382. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სატყეო მეურნეობის სისტემის მუშაებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.
383. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
384. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ე. მიშველასათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
385. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თბილისის ა. მ. რაზმაძის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომელთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
386. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ბ. გ. ხევდელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
387. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ს. გ. კობლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
388. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. ი. კობალეიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
389. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ლ. გ. ვარდოსანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
390. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ს. შენგელაას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.



391. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. მ. ხუბაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
392. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ს. გ. აგაბოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
393. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ო. ა. ქავთარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ბანკოფილიზა მისამი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.
ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა.



განყოფილება პირველი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება:

371 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მოწვეულ იქნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია 1985 წლის 7 დეკემბერს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 5 ნოემბერი.

№ 449—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგინება

372 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეკრეტის ს. ე. ხაზინაშვილის გაწვევის საკითხთან დაკავშირებით მასალების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის დასავნისათვის გადაცემის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დებულების მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად მასალები ახმეტის რაიონის სატყეო კომბინატის, ახმეტის მევენახეობის სანერგე საბჭოთა მეურნეობისა და ახმეტის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივების საერთო კრებებისა, რომელთაც აღძრეს საკითხი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ახმეტის № 228 საარჩევნო ოლქისაგან სოლიკო ევტიხის ძე ხაბეიშვილის გაწვევის შესახებ, დასკვნისათვის გადაეცეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 14 ნოემბერი.

№ 461—XI



საპარტვილოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება № 11

373 საპარტვილოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ახმეტის № 228 საარჩევნო ოლქისაგან ს. ე. ხაბეიშვილის გაწვევის თაობაზე კენჭისყრის ჩატარების შესახებ

განიხილა რა მასალები ახმეტის რაიონის ახმეტის სატყეო კომბინატის, ახმეტის მევენახეობის სანერგე საბჭოთა მეურნეობის და ახმეტის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივების საერთო კრებებისა, რომელთაც აღძრეს საკითხი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ახმეტის № 228 საარჩევნო ოლქისაგან ს. ე. ხაბეიშვილის გაწვევის შესახებ, და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის დასკვნა ამ საკითხზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გაწვევის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის მე-4 მუხლის საფუძველზე ადგენს:

ჩატარდეს კენჭისყრა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ახმეტის № 228 საარჩევნო ოლქისაგან სოლიკო ევტიხის ძე ხაბეიშვილის გაწვევის შესახებ 1985 წლის 15 და 16 ნოემბერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 14 ნოემბერი.
№ 462—XI

საპარტვილოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

374 საპარტვილოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ


საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ადგენს:

ამხ. მურატ გრიგოლის ძე ხანაკოვი — საქართველოს პროფსაბჭოს მდივან და ამხ. გიორგი გიორგის ძე ტონკონოგოვი — საქართველოს ალკ კენტრალური კომიტეტის მდივანი დამტკიცებულ იქნენ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის წევრებად.

ამხ. ზურაბ აკაკის ძე ლაბახუა და ამხ. ალექსანდრე ივანეს ძე შჩერბაკოვი გამოყვანილ იქნენ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 18 ნოემბერი.
№ 467—XI



საპარტიველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

375 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში დამატება. თა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 10; 1982 წ., № 12, მუხ. 371) შემდეგი დამატებები:

1. 137-ე მუხლის მეორე ნაწილს სიტყვების „გავრცელებულ ნაწარმოებებში“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „ანონიმურ წერილში“.

2. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 145¹ მუხლი:

„**მუხლი 145¹**. მოქალაქეთა დევნა კრიტიკისათვის

თანამდებობის პირის მიერ მოქალაქის უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების განზრახ შეზღუდვა, რაც დაკავშირებულია მის დევნასთან დადგენილი წესით წინადადებების, განცხადებების, საჩივრების შეტანის ან კრიტიკისათვის, რომელსაც ისინი შეიცავენ, აგრეთვე სხვაგვარი ფორმით კრიტიკით გამოსვლისათვის, —

ისჯება ჯარიმით სამას მანეთამდე ან თანამდებობიდან დათხოვნით.

იგივე მოქმედება, რომელმაც არსებითი ზიანი მიაყენა მოქალაქის უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთიდან ორ წლამდე, ან თანამდებობიდან დათხოვნით“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 19 ნოემბერი.

№ 468—XI

საპარტიველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

376 საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1984 წ., № 12, მუხ. 420) შემდეგი დამატებები:



1. დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის 139¹ და 225¹ მუხლები:
„მუხლი 139¹. ზომამცირე გემების რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესების, აგრეთვე ასეთი გემებითა და მათი სადგომი ბაზებით (ნაგებობებით) სარგებლობის წესების დარღვევა

საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის ზედამხედველობაში მყოფი გემების რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესების, აგრეთვე ასეთი გემებითა და მათი სადგომი ბაზებით (ნაგებობებით) სარგებლობის წესების დარღვევა —

გამოიწვევს მოქალაქეთა გაფრთხილებას ან დაჯარიმებას ორმოცდაათ მანეთამდე, თანამდებობის პირთა გაფრთხილებას ან დაჯარიმებას ას მანეთამდე, ანდა გემების მძღოლებისათვის ზომამცირე გემების მართვის უფლების ჩამორთმევას ვადით ერთ წლამდე“:

„მუხლი 225¹. ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის ორგანოები

საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის ორგანოები განიხილავენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 139¹ მუხლით.

ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული ორგანოების სახელით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება აქვთ:

საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის უფროსს და მის მოადგილეებს — მოქალაქეთა დაჯარიმებისა ორმოცდაათ მანეთამდე, თანამდებობის პირთა — ას მანეთამდე;

ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექტორებს — დაჯარიმებისა ოცდაათ მანეთამდე“.

2. კოდექსის 299-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეორე ნაწილი:

„დადგენილებას ზომამცირე გემების მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ აღსრულებენ ამ კოდექსის 225¹ მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნული საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის ორგანოების თანამდებობის პირები“.

ამასთან დაკავშირებით მეორე ნაწილი ჩაითვალოს მესამე ნაწილად.

3. კოდექსის მე-300 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეხუთე ნაწილი:

„დადგენილება ზომამცირე გემების მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ აღსრულებდა საქართველოს სსრ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის ორგანოების მიერ მძღოლის მოწმობის და მასზე დართული ტალონის ჩამორთმევით“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 21 ნოემბერი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებით
377 საქართველოს სსრ ზოგირით საკანონმდებლო აქტში ცვლი-
 ლებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველის 29-ე მუხლში ცვლილებათა შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 20 მაისის ბრძანებულებისა და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძველების 31-ე მუხლის მეორე ნაწილის გამოყენების წესის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 20 მაისის დადგენილების შესაბამისად, აგრეთვე საქართველოს სსრ კანონთა წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები საქართველოს სსრ შემდეგ საკანონმდებლო აქტებში:

1. საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 10):

1. 33-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 33.** დანაშაულის ჩამდენ სამხედრო მოსამსახურეთა გაგზავნა სადისციპლინო ბატალიონში და გამასწორებელ სამუშაოთა შეცვლა ჰაუბტვახტში მოთავსებით

დანაშაულის ჩამდენი ვადიანი სამხედრო მოსამსახურე შეიძლება გაიგზავნოს სადისციპლინო ბატალიონში ვადით სამი თვიდან ორ წლამდე კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აგრეთვე იმ შემთხვევებში, როდესაც სასამართლო, მხედველობაში მიიღებს რა საქმის გარემოებებს და მსჯავრდებულის პიროვნებას, მიზანშეწონილად მიიჩნევს სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად იმავე ვადით სადისციპლინო ბატალიონში გაგზავნის შეფარდებას. თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად სადისციპლინო ბატალიონში გაგზავნა არ შეეფარდებათ პირებს, რომლებმაც ადრე მოიხადეს სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით.

გამასწორებელი სამუშაოები თავისუფლების აღუკვეთლად სამხედრო მოსამსახურეებს შეეცვლებათ ჰაუბტვახტში მოთავსებით ვადით ორ თვემდე“.

2. 124-ე მუხლში სიტყვები „სასამართლოს მიერ დადგენილი“ შეიცვალოს სიტყვებით „სასამართლოს გადაწყვეტილებით ან სახალხო მოსამართლის დადგენილებით დაკისრებული“.

II. საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (საქართველოს



სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961, წ., № 1, მუხ. 11; 1971 წ., № 4, მუხ. 42);

1. 280-ე მუხლში სიტყვები „ხოლო საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 95-ე მუხლის პირველი ნაწილით და 228-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ“ შეიცვალოს სიტყვებით „ხოლო ამ კოდექსის მე-400 მუხლში ჩამოთვლილ“.

2. 384-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს სიტყვები „საქართველოს სსრ პროკურორს, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს და მათ მოადგილეებს ზედამხედველობის წესით საქმის გადაწყვეტამდე უფლება აქვთ შეაჩერონ საქართველოს სსრ ნებისმიერი სასამართლოს გაპროტესტებული განჩინების, განჩინებისა და დადგენილების აღსრულება, გარდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებისა“.

† III. საქართველოს სსრ 1970 წლის 18 ივნისის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1970 წ., № 6, მუხ. 96):

✓ 1. 82-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „სასამართლოს მიერ დადგენილი“ შეიცვალოს სიტყვებით „სასამართლოს გადაწყვეტილებით ან სახალხო მოსამართლის დადგენილებით დაკისრებული“.

✓ 2. 95-ე მუხლში:

მესამე ნაწილში სიტყვები „სასამართლო წესით“ შეიცვალოს სიტყვებით „სასამართლოს მიერ“;

✓ მეოთხე ნაწილში სიტყვები „სასამართლოს გადაწყვეტილების“ და „სასამართლო წესით“ შესაბამისად შეიცვალოს სიტყვებით „სასამართლოს გადაწყვეტილების ან სახალხო მოსამართლის დადგენილების“ და „სასამართლოს მიერ“.

✓ 3. 96-ე მუხლის პირველ ნაწილს სიტყვების „სასამართლოს გადაწყვეტილების“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „ან სახალხო მოსამართლის დადგენილების“.

✓ 4. 97-ე მუხლში:

სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 97.** ვადები, რომლის განმავლობაში შეიძლება ალიმენტის გადახდევინების შესახებ მოთხოვნათა წარდგენა და დაკმაყოფილება“;

პირველ ნაწილში სიტყვები „სასამართლოს საშუალებით მოითხოვოს ალიმენტის გადახდევინება“ შეიცვალოს სიტყვებით „მიმართოს სასამართლოს განცხადებით ალიმენტის გადახდევინების შესახებ“;

მეორე ნაწილში სიტყვები „სარჩელის აღძვრის“ და „სარჩელის წარდგენამდე“ შესაბამისად შეიცვალოს სიტყვებით „განცხადების შეტანის“ და „განცხადების შეტანამდე“.

IV. საქართველოს სსრ 1964 წლის 26 დეკემბრის კანონით დამტკიცებული საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1964 წ., № 36, მუხ. 662):

1. 352-ე მუხლში:

პირველ პუნქტს დაემატოს სიტყვები „აგრეთვე სახალხო მოსამართლის დადგენილება აღმინტის გადახვევის შესახებ“;

დაემატოს მუხლის შემდეგი შინაარსის მე-18 პუნქტი:

„18) პროკურორის დადგენილება ადმინისტრაციული წესით იმ პირების გამოსახლების შესახებ, ვინც თვითნებურად დაიკავა საცხოვრებელი სადგომი ან ცხოვრობს სახლებში, რომელთაც ჩამოქცევის საფრთხე ემუქრება. პროკურორის დადგენილების იძულებით აღსრულება წარმოებს სსრ კავშირის კანონმდებლობითა და ამ კოდექსით დადგენილი წესებით.“

2. 353-ე მუხლში:

პირველ პუნქტში სიტყვები „სასამართლოების გადაწყვეტილებათა“ შეიცვალოს სიტყვებით „სასამართლოების (მოსამართლოების) გადაწყვეტილებების“;

დაემატოს მუხლს შემდეგი შინაარსის მე-11 პუნქტი:

„11) პროკურორის დადგენილებები ადმინისტრაციული წესით იმ პირების გამოსახლების შესახებ, ვინც თვითნებურად დაიკავა საცხოვრებელი სადგომი ან ცხოვრობს სახლებში, რომელთაც ჩამოქცევის საფრთხე ემუქრება“.

3. 396¹ მუხლის პირველ ნაწილსა და 396² მუხლში სიტყვების „სასამართლოს გადაწყვეტილების“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „ან სახალხო მოსამართლის დადგენილების“.

V. „საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1984 წლის 28 მაისის ბრძანებულების (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1984 წ., № 5, მუხ. 127) ქართული ტექსტის მე-13 პუნქტში სიტყვები „98-ე და 99-ე მუხლები“ შეიცვალოს სიტყვებით „98-ე მუხლი და 99-ე მუხლის პირველი ნაწილი“.

VI. საქართველოს სსრ 1983 წლის 4 ივნისის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1983 წ., № 6, მუხ. 199) ქართული ტექსტის 77-ე მუხლის II ნაწილში სიტყვები „აღმავალი ან დაღმავალი ხაზით ნათესავი“ შეიცვალოს სიტყვებით „პირდაპირი აღმავალი ან დაღმავალი ხაზით ნათესავი“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 21 ნოემბერი.

საპარტვიზოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

378 მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ

შეიარაღებული დამნაშავეის დაკავებისას გამოჩენილი სიმამაცისა და თავგანწირვისათვის მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოვდნენ:

მაქარაშვილი ოლეგ ჟორჯიის ძე — თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა სამმართველოს რიგითი.

ოზბეტელაშვილი ბორის ტარიელის ძე — თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა სამმართველოს სერჟანტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 6 ნოემბერი.

№ 452—XI

საპარტვიზოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

379 ამხ. დ. 3. ტყეშელაშვილის მედლით „წყალწადებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

წყალწადებულის გადარჩენისას გამოჩენილი გამბედაობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით სახბანკის ვანის რაიონული განყოფილების უფროსი ბუღალტერი ამხ. დავით ვახტანგის ძე ტყეშელაშვილი დაჯილდოვდეს მედლით „წყალწადებულთა გადარჩენისათვის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 27 ნოემბერი.

№ 476—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

380 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თბილისის ა. მ. რაზმაძის სახელობის ურომის წითელი დროშის ორდენოსანი მათემატიკის ინსტიტუტის თანაფრომლეაზისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მათემატიკის მეცნიერების განვითარებაში დამსახურებისათვის, სამეცნიერო კადრების მომზადებისა და აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თბილისის ა. მ. რაზმაძის სახელობის ურომის წითელი დროშის ორდენოსანი მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომლებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“

ბურჭულაძეს თენგიზ ვლადიმერის ძეს — ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს.

გეგელიას თენგიზ გიორგის ძეს — ინსტიტუტის განყოფილების გამგეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს.

ობოლაშვილს ელენე იროდიონის ასულს — ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 1 ნოემბერი

№ 448—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

381 ამხ. ი. ი. მარუანიასათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარებაში დამსახურებისათვის, სამეცნიერო კადრების მომზადებისა და აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის კათედრის გამგეს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ იოსებ



ივანეს ძე მარშანიას მიენიჭოს საპატიო წოდება „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 1 ნოემბერი

№ 445—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

382 საბჭოეო მუშარეომობის სისტემის მუშაკეებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიშების უმსახე

სატყეო მეურნეობის სისტემაში ხანგრძლივი ნყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული მეტყევე“

არაბულს ზაქარია ობოლას ძეს — ახმეტის სატყეო მეურნეობის სატყეოს უფროსს.

არევაძეს ალექსანდრე იოსების ძეს — ბორჯომის სატყეო მეურნეობის მთავარ მეტყევეს.

მალრაძეს გრიგოლ გიორგის ძეს — საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს ტყის დაცვის სამმართველოს წამყვან ინჟინერს.

ნებურიშვილს ანზორ არსენის ძეს — საგარეჯოს სატყეო მეურნეობის გიორგიწმინდის სატყეოს უფროსს.

ყიფიანს გურამ ალექსანდრეს ძეს — თბილისის დენდროლოგიური პარკის მეტყევე-ინჟინერს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი“

ჩარკვიანს ჯიმშერ ავდიდის ძეს — საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრის მოადგილეს.

„საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკი“

კაპანაძეს ტარიელ ივანეს ძეს — გარდაბნის სახელმწიფო სატყეო-სამონადირეო მეურნეობის დირექტორს.

ჩლაიძეს ზაქარია ისილორეს ძეს — საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს უფროსს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“

აკობიას შორა ისიდორეს ძეს — წალენჯიხის სატყეო მრეწველობის მეურნეობის უფროს ოსტატს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 12 ნოემბერი.

№ 457—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

383 „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა საესტრადო ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისა და ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეგობრომდებლო მოღვაწეობისათვის საპატიო წოდება „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი“ მიენიჭოთ:

ბალარაჩიშვილს გურამ შალვას ძეს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობს.

მაკარიძეს კონსტანტინე არტემის ძეს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 19 ნოემბერი.

№ 470—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

384 ანხ. ა. ე. მიშველაძისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის სკოლათმცოდნეობის კათედრის გამგეს, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ აქქ-



სენტი ესტატეს ძე მიშველაძეს მიენიჭოს საპატიო წოდება „საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ ვილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშაბარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 19 ნოემბერი.

№ 469—XI

საპარტვილოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

385 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თბილისის ა. მ. რაჭმაძის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომელთა საპარტვილოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თბილისის ა. მ. რაჭმაძის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი მათემატიკის ინსტიტუტის დაარსების 50 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

ბერიკაშვილი ნოდარ ალექსის ძე — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

ებრიკაშვილი გურამ პავლეს ძე — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

ჭაქარაიშვილი დავით ივანეს ძე — დირექტორის მოადგილე.

კუპრაშვილი მავრა ვასილის ასული — მემანქანე.

სურმანიძე ონისე ენვერის ძე — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

ღლონტი ზეინაბ მიხეილის ასული — კადრების განყოფილების გამგე.

ციცქიშვილი ავთანდილ რევაზის ძე — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი.


ჭოლოშვილი გიორგი სევერიანის ძე განყოფილების გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ ვილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშაბარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 1 ნოემბერი

№ 447—XI



386 ამხ. ბ. ვ. ხვედელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპარამეტრების ბრძანებულება

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, კადრების მომზადებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ბორის ვლადიმერის ძე ხვედელიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 1 ნოემბერი
№ 446—XI

387 ამხ. ს. ბ. კობალაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპარამეტრების ბრძანებულება

ჯანმრთელობის დაცვის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის, კვალიფიკური სპეციალისტების მომზადებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგე ამხ. სერგო გიორგის ძე კობალაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 5 ნოემბერი,
№ 451—XI

388 ამხ. ნ. ი. კოკალაიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპარამეტრების ბრძანებულება

პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. საბ. რესპუბ.
პრეზიდიუმის



საწარმოების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანი აშხ. ნელი ივანეს ასული კოპალეიშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 5 ნოემბერი.

№ 450—XI

საპარტიველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

389 აშხ. ლ. გ. ვარდოსანიძის საპარტიველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ამიერკავკასიის რკინიგზაზე ხანგრძლივი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი აშხ. ლევან გრიგოლის ძე ვარდოსანიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 6 ნოემბერი.

№ 453—XI

საპარტიველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

390 აშხ. გ. ს. შენგელიას საპარტიველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ


ენერგეტიკული მშენებლობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს ტრესტ „კავკასელექტროქსელმშენის“ მმართველის მოადგილე აშხ. გივი სერაპიონის ძე შენგელია დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 6 ნოემბერი.

№ 454—XI



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით

391 ამხ. გ. მ. ხუხუაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა დრამატურგიის განვითარებაში წვლილისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით მწერალი გიორგი მიხეილის ძე ხუხუაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 6 ნოემბერი.

№ 455—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

392 ამხ. ს. გ. აბაგოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ორგანოებში ხანგრძლივი უმწიკველო სამსახურისა და რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის წარმომადგენელი ამიერკავკასიის წითელდროშოვან სამხედრო ოლქში, გენერალ-მაიორი სიმონ გაბრიელის ძე ავაპოვი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 13 ნოემბერი.

№ 459—XI



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებით
393 ამხ. ო. ა. ქავთარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
 პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ამხ. ოთარ ალექსანდრეს ძე ქავთარაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ გილაშვილი.
 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 27 ნოემბერი
 № 477—XI

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

1985 წლის 12 ნოემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986 წლის სახელმწიფო გეგმის, 1985 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის, 1986 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და 1984 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიასა და სხვა მუდმივ კომისიებში წინასწარ განხილვის შესახებ.

* * *

28 ნოემბერს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

მოისმინა რა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიისა და საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის ინფორმაციები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის მიცემული განაწესების სარეალიზაციოდ საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ, პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ კომიტეტმა ამ მიმართულებით გარკვეული მუშაობა ჩაატარა, გამოიხატა დეპუტატთა განაწესების შესრულებისა და მათზე კონტროლის დაწესების საინტერესო ფორმები. ამასთან განაწესების სარეალიზაციოდ მის მიერ გაწეული მუშაობა ჯერ კიდევ არასაკმარისია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების კომიტეტს (ამხ. გ. მგელაძე) კვლავ



ვაც განახორციელოს საჭირო ღონისძიებები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის ამომრჩეველთა მიერ მიცემული განაწესებისა და მოსახლეობის წინადადებების უცილობლივ სარეალიზაციოდ, გაითვალისწინოს ისინი მომდევნო წლების ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებში, მკაცრი კონტროლი დააწესოს ცალკეული განაწესებისა და წინადადებების განხორციელების მიმდინარეობისადმი, აამაღლოს ამ საქმეში კომიტეტისა და აგროსამრეწველო გაერთიანებათა ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკების პასუხისმგებლობა, მიიღოს საჭირო ზომები თითოეული განაწესისა და წინადადების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე დეპუტატების დროული ინფორმირებისათვის.

რჩევა მიეცეთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს ამომრჩეველთა მიერ მიცემული განაწესების სარეალიზაციოდ ყოველდღიურ საქმიანობაში განუხრელად იხელმძღვანელონ სსრ კავშირში სახალხო დეპუტატთა სტატუსის შესახებ კანონის მოთხოვნებით, უფრო ქმედითი კონტროლი დააწესონ განაწესების შესრულების მიმდინარეობისადმი; უზრუნველყონ განაწესების განხორციელების შესახებ ამომრჩეველებისა და მოსახლეობისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდება.



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა ჭიათურის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ანხ. ჯ. ა. გურულის ინფორმაცია ჭიათურის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს მიერ შრომითი კოლექტივების შესახებ სსრ კავშირის კანონის განხორციელების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1984 წლის 26 აპრილის დადგენილების შესრულების მდგომარეობის შესახებ და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილების ცნობა ამავე საკითხზე.

მოიწონა რა საქალაქო საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გაწეული მუშაობა ამ მიმართულებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამასთან აღნიშნა, რომ ჭიათურის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭომ და მისმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ჯერ კიდევ ვერ მიიღვიეს წარმოების მართვაში ყველა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის შრომითი კოლექტივების როლის ამაღლებას თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა: ჭიათურის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს და მისი აღმასრულებელ კომიტეტს განაგრძონ მუშაობა საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მართვაში შრომითი კოლექტივების როლის შემდგომ ასამაღლებლად, გააძლიერონ ორგანიზატორული მუშაობა შრომითი კოლექტივების შესახებ სსრ კავშირის კანონის განუხრელად შესასრულებლად, წარმართონ იგი საწარმოთ, საზოგადო-



დობრივ და სახელმწიფო ცხოვრებაში, დისციპლინისა და მართლმადიდებლობის განმტკიცებაში მშრომელთა აქტიურობის ასამაღლებლად.

სახალხო დემუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალოთ:

— იხელმძღვანელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის, 1985 წლის აპრილისა და ოქტომბრის პლენუმების გადაწყვეტილებებით, შრომითი კოლექტივების შესახებ სსრ კავშირის კანონის შესასრულებლად საწარმოო გაერთიანება „ბელავტომაზის“ მინსკის საავტომობილო ქარხნის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, ადმინისტრაციის მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის დადგენილებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლებაში ჩამოყალიბებული დებულებებითა და დასკვნებით და მიიღონ რეალური ზომები კანონის მოთხოვნათა მკაცრად დასაცავად, ყველანაირად შეუწყონ ხელი შრომითი კოლექტივების საქმიანობაში დემოკრატიული საწყისების განმტკიცებას.

ამ მიზნით:

— უზრუნველყონ ყველა მშრომელის მიერ კანონის ღრმად შესწავლა, განუმარტონ მათ თავიანთი უფლება-მოვალეობანი, შრომითი კოლექტივების შესაძლებლობანი წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებაში, საწარმოო და შრომის დისციპლინის განმტკიცებაში, შრომისა და დასვენების ნორმალური პირობების შექმნაში, ყველგან ჯანსაღი ყოფის დამკვიდრებაში;

— განუხრელად მიაღწიონ შრომითი კოლექტივების შესახებ სსრ კავშირის კანონის შესრულებას, უფრო ფართოდ გაავრცელონ შრომითი კოლექტივების მიერ კანონით გათვალისწინებული ფართო უფლებამოსილების განსახორციელებლად მუშაობის არსებული დადებითი გამოცდილება;

— გააძლიერონ კონტროლი შრომის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვისადმი. ყველანაირად აამაღლონ ამ საქმეში მუდმივი კომისიების, დემუტატთა ჯგუფების, სახალხო კონტროლის ორგანოებისა და ამხანაგური სასამართლოების როლი;

— ყოველნაირად გააფართოონ საჯაროობა, რეგულარულად ჩაატარონ ანგარიშგება, საკუთარ გადაწყვეტილებათა პროექტების განხილვა შესაბამის შრომით კოლექტივებში, გაითვალისწინონ მათი აზრი და წინადადებები გადაწყვეტილებათა გამოტანისას, ავრთვე ინფორმაცია მიაწოდონ შრომით კოლექტივებს ამ გადაწყვეტილებათა შესრულების შესახებ;

— გააძლიერონ აღმასრულებელი კომიტეტების, მუდმივი კომისიების, პროფკავშირის კომიტეტების, სახალხო კონტროლის ორგანოების, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმომქმედების ორგანოების ურთიერთმომქმედება სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, სოციალისტური საკუთრების დაცვა-შენახვის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფისათვის ბრძოლაში.

სახალხო დემოკრატიულ ადგილობრივ საბჭოებსა და მათს აღმასრულებელ კომიტეტებს პროფკავშირულ ორგანოებთან და სამეურნეო ხელმძღვანელებთან ერთად დაევალოთ:

— ყველგან გააუმჯობესონ შრომითი კოლექტივების შესახებ სსრ კავშირის კანონის შესასრულებლად მუშაობის ორგანიზაცია სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში ჩამოყალიბებულ პარტიის ზუსტ მითითებათა შესაბამისად იმის თობაზე, რომ „ეკონომიკის ხელმძღვანელობის სრულყოფის მთელ მუშაობაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თანამიმდევრულად გაატარებს იმ გეზს, რომ განავითაროს მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივა და სულ უფრო სრულად ჩააბას ისინი წარმოების მართვის პროცესში, გააძლიეროს შრომითი კოლექტივების როლი გეგმების შემუშავებასა და სამეურნეო გადაწყვეტილებათა მიღებაში, საწარმოთა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ღონისძიებათა განხორციელებაში, წარმოების შინაგანი რეზერვების გამოვლენასა და მობილიზაციაში. მომჭირნეობა, სახალხო სახსრების უნარიანი ხარჯვა, ყოველი მანეთის რაციონალური მოხმარება, უყიარათობის ლიკვიდაცია, სხვადასხვაგვარი არამწარმოებლური ხარჯებისა და დანაკარგების აღმოფხვრა საერთო-პარტიული, საერთო-სახალხო საქმე, თითოეული შრომითი კოლექტივის, ყოველი მუშაკის საქმეა“;

— უფრო ფართოდ გამოიყენონ დამრღვევა და წუნის მკეთებელთა მიმართ საზოგადოებრივი და მატერიალური შემოქმედების ზომები, აგრეთვე განახორციელონ კეთილსინდისიერი შრომისათვის მუშაკთა მორალური და მატერიალური წახალისების ღონისძიებანი, გაააქტიურონ მთელი კოლექტივის მონაწილეობა ამ საკითხების გადაწყვეტაში;

— მიიღონ გადაწყვეტი ზომები საწარმოებში ნეგატიურ მოვლენათა აღმოსაფხვრელად, შექმნან კოლექტივებში მოუთმენლობის ვითარება სოციალისტური საკუთრების დამტაცებლების, ლოთებისა და წესრიგის დამრღვევთა მიმართ;

— განახორციელონ შრომითი კოლექტივების კრებების ქმედითობის ამაღლების ღონისძიებანი, მათი ჩატარებისას არ დაუშვან პარადულობა და ფორმალიზმი, მიაღწიონ საკითხების საქმიან განხილვას, უფრო სრულად გამოიყენონ კრიტიკისა და თვითკრიტიკის, განსაკუთრებით ქვემოდან კრიტიკის მეთოდი;

— მუდმივად იზრუნონ შრომის პირობების გასაუმჯობესებლად, საბინაოსაყოფაცხოვრებო და სხვა სოციალური საკითხების გადასაწყვეტად;

— ყველანაირად გააუმჯობესონ კადრებთან მუშაობა, მუდმივად გამოუმუშაონ მშრომელებს საწარმოო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვის ჩვევები; კადრების დაწინაურებისას გაითვალისწინონ კოლექტივის წინადადებები და აზრი;

— წარმართონ ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა ადგილებზე არსებული რეზერვების ძიებისა და მაქსიმალური გამოყენებისათვის 1985 წლისა და



ქართული
წიგნების
კავშირები

მოლიანად ზუთწლედის გეგმების და ნაკისრი სოციალისტური გეგმების შესრულებისა და სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეულად შეხვედრის უზრუნველსაყოფად.

რჩევა მიეცა საქართველოს პროფსაბჭოს სახალხო დეპუტატთა საბჭოებთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებით მიაღწიოს, რომ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების აღმინისტრაცია და პროფკავშირის კომიტეტები ქმნიდნენ საჭირო პირობებს შრომითი კოლექტივების შესახებ სსრ კავშირის კანონის რეალიზაციისა და საწარმოო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში, საბინაო-საყოფაცხოვრებო და სხვა სოციალური საკითხების გადაწყვეტაში მშრომელთა მონაწილეობის გააქტიურებისათვის.

რესპუბლიკური, რაიონული და საქალაქო გაზეთების რედაქციებს, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს დაევალოს უფრო ფართოდ გააშუქონ შრომითი კოლექტივების შესახებ სსრ კავშირის კანონის შესასრულებლად მუშაობის გამოცდილება, ამასთან წარმოაჩინონ კოლექტივის საქმეთა მართვაში მშრომელთა მონაწილეობის კონკრეტული ფორმები.

*
*
*

მოისმინა რა ვანის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ი. დვალიშვილის ანგარიში „აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ახალ პირობებში ვანის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობის შესახებ“, პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობის, სკკპ XXVI ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და მომდევნო პლენუმების, გადაწყვეტილებების შესაბამისად რაიონულმა საბჭომ გარკვეული მუშაობა გასწია აგროსამრეწველო გაერთიანების ფორმირებისათვის; მთელ თავის ორგანიზატორულ მუშაობას წარმართავს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის შემდგომი ამაღლების, XI ზუთწლედის საგეგმო დავალებათა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესასრულებლად მშრომელთა მობილიზაციისათვის, სასურსათო პროგრამით განსაზღვრული ამოცანების განხორციელებისათვის.

ამასთან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მიაჩნია, რომ ვანის სახალხო დეპუტატთა რაიონულმა საბჭომ ვერ გარდაქმნა საქმიანობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად, სრულყოფილად არ იყენებს მინიჭებულ უფლებებს აგროსამრეწველო გაერთიანების მეშვეობით სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანად მართვის, საკონტროლო, საკოორდინაციო-ორგანიზატორული ზემოქმედების გაძლიერებისათვის; არ იჩენს სათანადო მომთხოვნელობას სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის და მეცხოველეობის პროდუქტიულობის



გადიდების მიზნით არსებული რეზერვების ასამოქმედებლად; საბჭოს შესაბამისი მუდმივი კომისიები, დებუტატთა ჯგუფები, საგუშაგოები და საზოგადოებრივი ფორმირებანი არასაკმარისად ახორციელებენ მიწისა და სოფლის მეურნეობის საკითხებზე საკანონმდებლო აქტების დაცვისადმი კონტროლს.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მუშაობა ეკონომიისა და მომჭირნეობის რეჟიმის დაცვისათვის, მოსავლის უდანაკარგოდ აღების, დამზადების, შენახვის, ტრანსპორტირების, გადამუშავებისა და რეალიზაციის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის. რაიონული საბჭო, მისი აღმასრულებელი კომიტეტი და მუდმივი კომისიები არ იღებენ სათანადო ზომებს აგროსამრეწველო გაერთიანებაში შემავალ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებისა და საბოლოო შედეგების მიხედვით მშრომელთა მატერიალური დაინტერესების ამაღლებისათვის; ნაკლებად აღწევენ აგროსამრეწველო გაერთიანებაში შემავალ საწარმოთა ინტერესების შერწყმას მაღალი სამეურნეო შედეგების მოსაპოვებლად; სრულყოფილად ვერ გამოიყენება გაერთიანების ფუნქციები დარგთაშორისი საწარმოო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის გასაღრმავებლად სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის, კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლებისა და სახელმეკრულებო დისციპლინის განმტკიცებისათვის; ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოთა შეუსრულებლობისათვის გაერთიანებაში შემავალი საწარმოები პრეტენზიებს არ უყენებენ ერთმანეთს, ხოლო რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანება არ იღებს სათანადო ზომებს და არ წარადგენს სანქციებს; დარღვევებია ცენტრალიზებულთა ფონდების გამოყენების საქმეში; ნორმატიული აქტების გამოცემისას არ იცავენ საკოლმეურნეო დემოკრატიის, კანონმდებლობის მოთხოვნებს; ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ რაზმავენ შრომითს კოლექტივებს, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების და სოციალისტური ვალდებულებების შესასრულებლად.

აგროსამრეწველო გაერთიანების ფუნქციონირების პერიოდში არ სრულდება ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გეგმები, ზოგიერთ მეურნეობაში საწარმოო დანახარჯების სისტემატურ ზრდას თან არ სდევს სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესაბამისი მატება. დაბალია ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების საშუალო-საშვეტარო მოსავლიანობა და პირუტყვის პროდუქტიულობა, გაზრდილია ბოსტნეულის, ხორცის, რძის და ზოგიერთი პროდუქციის თვითღირებულება. ადგილი აქვს დიდი რაოდენობით მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორის, ფრინველის დაცემისა და იძულებითი დაკვლის შემთხვევებს. ჯანდავი პირუტყვის და დაბალი ხარისხის რძის დამზადებით საზოგადოებრივი მეურნეობები დიდ ზარალს განიცდიან. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ბალ-ვენახებში მეჩხერიანობის ლიკვიდაციას. საზოგადოებრივ მეურნეობებში შეინიშნება ტექნიკის მოცდენის, ნაადრევად ჩამოწერისა და საექსპლუატაციო ვადების ხელოვნურად შემცირების ფაქტები.



საქართველოს
წიგნების კავშირი

ჯერ კიდევ მოუგვარებელია ტექნიკური დოკუმენტაცია და საბასეობრივი ნეობა. ვანის საკოლმეურნეობათა შორის სამშენებლო საბჭო ვერ უზრუნველყოფს მშენებარე ობიექტების სექსპლუატაციოდ გადაცემას გეგმით გათვალისწინებულ ვადებში. გადამამუშავებელი საწარმოები დაგეგმილი ასორტიმენტის მიხედვით არ უშვებენ პროდუქციას, ნაკლები ყურადღება ექცევა მისი ხარისხის ამაღლებას.

საზოგადოებრივ მეურნეობათა ერთ ნაწილში ჯერ კიდევ არასათანადო დონეზეა შრომის ორგანიზაცია, სუსტია დისციპლინა. 1984 წელს რაიონის კოლმეურნეობებში შრომის სავალდებულო მინიმუმი არ გამოუმუშავებია 165 კოლმეურნეს, მიმდინარე წლის ცხრა თვეში კი მათი რიცხვი 198-მდე გაიზარდა. აღნიშნული და სხვა სერიოზული ნაკლოვანებების შედეგად არადაამკაყოფილებლად მტკიცდება საზოგადოებრივი მეურნეობების ეკონომიკა, ჯერ კიდევ მაღალია წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება, დაბალია რენტაბელობის დონე; ნაკლოვანებებია პირველადი აღრიცხვის საქმეში; ადგილი აქვს რევიზიების უხარისხოდ ჩატარებას; ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მეცნიერების მიღწევების, შრომის და მართვის ორგანიზაციის პროგრესული ფორმების პრაქტიკაში დანერგვას; ნაკლოვანებებია პირადი დამხმარე მეურნეობების გაძლოაში.

ჯერ კიდევ არასაკმარისია რაიონული, საქალაქო, სასოფლო საბჭოებისა და მათი აღმასკომების ზრუნვა სოფლად სოციალური საკითხების გადაწყვეტისა და მოსახლეობის პირველი მოთხოვნილების საქონლით უზრუნველყოფისათვის, საყოფაცხოვრებო მომსახურების დონის ამაღლებისა და ყველგან და ყველადღერში სამართლიანობისა და მართლწესრიგის დამყარებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სათანადო დავალებანი მისცა ვანის სახალხო დეპუტატთა რაიონულ, საქალაქო და სასოფლო საბჭოებს, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტს, განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, ხოლბოსტნეული მეურნეობის, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებსა და ცეკავშირის გამგეობას.



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სხდომაზე მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ს. კ. ორლოვას ინფორმაცია თავისი სადეპუტატო მოვალეობის შესრულების შესახებ და მოიწონა იგი.

ამასთან აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ს. კ. ორლოვას მიმართების განხილვისას თბილისის სახალხო დეპუტატთა 26 კომისიისა და ლენინის რაიონული საბჭოების აღმასკომებსა და საწარმოო გაერთიანება «ელმავალმშენებელში» საკითხების გადაწყვეტას მიუდგენ ფორმალურად და დაარღვიეს დეპუტატის მიმართვის განხილვის დადგენილი წესი.

სახალხო დემუტატა ყველა საფეხურის საბჭოებს დაევალოთ ყოველწლიურ წახალისონ დემუტატა აქტივობა და ინიციატივა, მეტი დახმარება გაუწიონ საარჩევნო ოლქებში სადემუტატო მოვალეობათა შესრულებაში, შექმნან საპრობლემატიკური ანგარიშების ჩაბარებისა და ამომრჩეველთან შეხვედრების ჩასატარებლად, მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციისათვის, მოსახლეობის მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების დროულად განხილვისა და მათზე რეაგირებისათვის.

დაევალოთ:

სახალხო დემუტატა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, რესპუბლიკის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს, უწყებებს — ოპერატიულად მოახდინონ რეაგირება დემუტატა მიმართვებისა და წინადადებებზე, ამაღლონ საქვეუწყებო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა დემუტატა მიმართვებისა და წერილების დროულად განხილვისათვის, შეიმუშაონ და პრაქტიკაში დანერგონ დემუტატა მიმართვებისა და წინადადებების აღრიცხვის, განხილვისა და მათში აღძრული საკითხების გადაწყვეტისადმი კონტროლის მწყობრი სისტემა. დემუტატა წინადადებანი ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე განხილონ საბჭოების სესიების, აღმასრულებელი კომიტეტებისა და კოლეგიების სხდომებზე.

რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებს, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს — უფრო ფართოდ და სრულად გააშუქონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დემუტატა საქმიანობა საარჩევნო ოლქებსა და შრომით კოლექტივებში.

დადგენილებაში აღინიშნა, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დემუტატებმა სსრ კავშირში სახალხო დემუტატა სტატუსის შესახებ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად უფრო სრულად უნდა განახორციელონ თავიანთი უფლებამოსილება, გააქტიურონ საქმიანობა ამომრჩეველებს შორის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის აქტების, საბჭოთა კანონების განსამარტავად, პირადი მავალით ხელი შეუწყონ შრომითი კოლექტივების მიერ საგეგმო დაეალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებას.

*
*
*

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე მოსმენილ იქნა აგრეთვე საკითხები: რესპუბლიკის ზოგიერთ წარმოება-დაწესებულებაში არასრულწლოვანთა შრომის შესახებ კანონმდებლობის უხეში დარღვევების თაობაზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მოქალაქეთა მიმართვების განხილვაში აღიგნის რაიონის სახალხო დემუტატა საბჭოების დემუტატების, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მონაწილეობის პრაქტიკის შესახებ,



საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომიტეტის მუშაობის კაბინეტების (დეპუტატთა ოთახების) რესპუბლიკური დათვალიერების შედეგების შესახებ და სხვ.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 14 ნოემბრის ბრძანებულებით მარნეულის რაიონის სადახლოს სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები: ახალი ლალალო, დამია, დამია-გიაურარხი და მამაი (კიროვკა) და შეიქმნა დამია-გიაურარხის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ დამია-გიაურარხში, ხოლო 26 ნოემბრის ბრძანებულებით ბოგდანოვკის რაიონის ბოგდანოვკის საქალაქო საბჭოს გამოეყო სოფელი ჭივრაშენი და შეიქმნა ჭივრაშენის სასოფლო საბჭო.